№ 67. 4 აპრილი, კვირა. 1866—1882 4 აპრილი, კვირა. № 67.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოს მეორედ ბეჭდვაზე ნახევარი.

თუ ხელნაწერს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ქნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა, ელენე დავითის ასული ასტაფიევისა, კნეინა თამარა გრუზინსკისა და კნიაჟნა ნინა დავითის ასული ჭავჭავაძისა გულითადის მწუხარებით გაუწყებთ თქვენ გარდაცვალებასა მათ ბებიის უგანათლებულესის დედოფლის ანასტასია გრიგორის ასულისა მოსკოვში 31-სა მარტსა; უმორჩილესად სთხოვენ ტფილისის საზოგადოებას სცენ პატივი და მობრძანდნენ პანაშვიდზე, გიმნაზიის ეკკლესიაში ორშაბათს 5 აპრილს დილით 12 საათზე.

## გორის უეზდის კეთილშობილთა წინამძღომელი

აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს უეზდის თავადთ და აზნაურთ:

I, მობრძანდნენ ქ. გორს. 18 აპრილს, დილის ათ საათზედ, გორის უეზდის კეთილშობილთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: 1, მოსამზადებლად და მოსახდენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მაისის გუბერნიის კრებისათვის; 2, მოსალაპარაკებლათ თავიანთ საჭიროებაზედ და სასარგებლო საგნებზედ და 3, პრიკაზის ვალის თაობაზედ (ამ საგნის განხილვისათვის საჭირო არის დაესწრნენ კრებაში მხოლოდ პრიკაზის მოვალეები) და.

II, წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომელითაც შეემლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღომლების ამორჩევაში.

გუბერნიის კრებაზედ: ა) საგნების განსასჯელად და მათ გარდასაწყვეტლათ ხმის ნება მიეცემა იმოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს: დამტკიცებული კეთილშობილობის ღირსება და რამე მამული და ამასთანავე აქვს ან ჩინი, ან რომელიმე რუსის სახელმწიფოს ორდენი (ჯვარი), ან დასრულებია სწავლა შუათანა ანუ უმაღლეს სასწავლებელში.

ბ) კეთილშობილთა წინამძღომლების ამორჩევისათვის, გარდა ხსენებულ მოთხოვნილებისა, უნდა ჰქონდეს საკუთრებათ ათასი დღის მამული, ან ჰქვანდეს ოცი კომლი დროებით-ვალდებული გლეხი, ანუ ოცი კომლი მოსახლე ბოგანო.

მამულის მფლობელობის საბუთებათ მიიღება ყოველი კანონიერი ქაღალდები, რომელნიც ამტკიცებენ ათასი დღის მამულის საკუთრებას (ნასყიდობის სიგელი, ვოდნი ლისტი, გაყრილობის განაჩენი და სხვანი), დებულობის აქმები (უსტავ. გრამ.) და პირობის წერილები მამულზედ მოსახლე ბოგანოებთან.— (3—1)

## ტელეგრამმა

(„სახლთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

ეტერბურღი, 2 აპრილს. „მმართებლობის მოამბე" გვაცნობებს: დენ. სტრელნიკოვის მკვლელნი აღმოჩნდნენ: ჩინოვნიკის შვილი ჟელმაკოვი და ხალტურინი, რომელნიც საზამთრო სასახლეში აფეთქების მოხდენის შემდეგ მოსკოვში და ოდესაში იმალებოდნენ.

ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის შეტაკება მოხდა კიდევ ბალტაში 30 და 31 მარტს და ლეტიჩევში 31 მარტს:

„პეტერბურღის უწყებებში" დაბეჭდილია; რომ გიორგიევსკი პეტერბურღის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველად (პოპეჩიტლად) ინიშნებაო.

„ნოვოე ვრემიაში" დაბეჭდილია, რომ ციმბირის რუსეთთან შემოერთების იუბილეის დღესასწაული ამ 1882 წლის 6 დეკემბერს იქნებაო.

## ერთიც ახალი გამოლაშქრება

ტფილისი, 3 აპრილს.

ამას წინად ბ. კატკოვი იყო, ახლა იმის ღვიძლი, ღირსეული თანამოძმე ბ. სუვორინი თავის „ახალ დროებით"!

ერთიცა და მეორეც, ბეზღობაში განვითარებულ - დახელოვნებულნი, ქართველ-სომეხ პატრიოტებზე იწერებიან, ახალგაზდა ქართველებზე და სომხებზე უჩვენებენ, მიუთითებენ ვისაც რიგია.

ერთიცა და მეორეც ტფილისის რუსულ თეატრის დაცემაზე სტირიან, ჯავრი მოსდით—რატომ ქართველ-სომხების წარმოდგენებზე ხალხი ბლომად დაიარება და ჩვენს, რუსულს წარმოდგენების დროს-კი თეატრი ცარიელიაო.

ერთიცა და მეორეც აგინებენ ქართულ-სომხურ ნაციონალურ თეატრებს, უბრაზოთ ვერ უხსენებიათ ეს ქართველებისა და სომხების სცენა.

განსხვავება ამათში მხოლოდ ის არის, რომ ბ. კატკოვი ქართველებს ურჩევს, თავიანთი ნაციონალური დროშები გოდფრუას ცირკში მიჰყიდონ, სადაც სამასხროდ გამოდგებაო და ბ. სუვორინი-კი ამ დროშებს არ ეხება.

მეორე განსხვავებაც კიდევ ის არის, რომ რუსულ თეატრის დაცემას ბ. კატკოვი ქართველ-სომეხ პატრიოტების რაღაც ბოროტ-განზრახვას აბრალებს და ბ. სუვორინი-კი უმაღლეს მმართებლობისაგან დანიშნულს თეატრის დირექციას. „ნოვოე ვრემიას" ტფილისელი კორრესპონდენტი (№ 2180) პირ-და-პირ ამბობს, რომ თეატრის დირექციის ბრალია რუსული სცენის დაღუპვა ტფილისშიო, რადგან ეს დირექცია სომხებსა და ქართველებს სწყალობსო, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევსო, თეატრის ანტრეპრენიორები ვალდებული გახადესო, რომ ქართველ-სომხებისათვის უეჭველად რამდენიმე დღე დაეთმოთ კვირაში საზაფხულო რუსული თეატრის ზალაო.

ვინც საქმის გარემოება არ იცის, მართლა ეგონება, რომ დირექცია ქართველებისა და სომხებისაგან მოსყიდულია და რუსის თეატრს-კი მტრობს. მაგრამ ვინც იცის საქმის გარემოება, ის დაგვემოწმება, რომ ყველა ქვემო-მოყვანილი ფაქტები ნამდვილი ფაქტებია და ზემოხსენებული მოსაზრებას არ ამართლებენ. და ფაქტები აი როგორია:

უველაზე პირველად უნდა ითქვას, რომ საზაფხულო თეატრი არც რუსებისაა, არც ქართველებისა და არც სომხებისა; ის არის ტფილისის თეატრი, ტფილისის მცხოვრებთათვის გამართული და ტფილისში კი, როგორც მოგეხსენებათ, მარტო რუსები არ ცხოვრობენ. მაშა სადამე თეატრის დირექცია და უმაღლესი ჩვენი მთავრობა უკანონოთ არ მოქცეულა, თუ ეს თეატრი მარტო ერთს რომელსამე სცენას არ დაუმკვიდრა, არ დაუსაკუთრა ეს თეატრი.

## „დროების" ფელეტონი, 4 აპრილი

### უმანწვილები

(ბავშვების სახლთან შესახებ)

ანგელოზთა წმინდა გუნდსა,
ვხედავ ყმაწვილების კრებას;
გული მიცემს სიამითა
და სული გრძნობს ნეტარებას!

—

მხოლოდ ჭკუა გამოცდილი
ეშმაკივით მეუბნება:
„—ფრთა შეჰკვეცე!... შეაჩერე
მატყუარი ეგ ოცნება!

—

„რაც გინახავს დღემდი სხვებზედ,
მაგათზედაც ის იქნება:
რომ შეტოპვენ ცხოვრებაში,
წაიტაცებსთ სოფლის ვნება!

—

„მაშინ მხოლოდ თავის თავზედ
დაიწყებენ დღიურ ზრუნვას
და ხელ-მარჯვედ მიჰყვებიან,
შეუღმართის სოფლის ბრუნვას"

—

სცდები, ჭკუავ! ტყუილია
მგ სიტყვები მოშხამული!...
წინათ მგრძნობი მოციქული
სულ სხვას ამბობს ჩემი გული!

—

ზოგი მართლაც რომ გაფუჭდეს,
ეს არ არის ანგარიში!...
სამში ერთმაც თუ ივარგა,
აღარ უნდა მაშინ შიში!

—

ცხოვრებაში ბიჯს წინ წადგმენ,
დაიჩენენ კეთილ კვალსა,
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

—

ანგელოსთა წმინდა გუნდსა,
თავს დავხარი ყმაწვილთ კრებას
და ოცნებით წინ-და-წინვე
ვგრძნობ მომავალ ნეტარებას,

აკაკი.

### ფათი

(სააღდგომო მოთხრობა)

186* წელს შუა-ღამისას, გაჩაღებულს ქაშვეთის საყდარში მოისმა ყველა ქრისტიანის გულის გასახარებელი ხმა:

— ქრისტე აღდგა! იძახდა მღვდელი და ამ სიტყვებს მოჰყვებოდა აღელვებული, გრგვინვასავით, ხალხის პასუხი:

— ჭეშმარიტად!

შემდეგ კვერცხების ჩახჩახი.

უველას რაღაც სიამოვნება, რაღაც წარმოუთქმელი სიხარული ეხატებოდა პირისახეზედ, ყველა საუკეთესო ტანისამოსით იყო მორთული; ისინი ულოცავდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანერთს, თითქოს ამ ხალხს დავიწყებოდა თავიანთი ყოველ დღიური შური და განხეთქილება. უველას პირისახე ციურის სიხარულით ბრწყინავდა, ყველა ღიმილით, ბედნიერად გამოიხედებოდა...

საყდრის კარებთან-კი ჩამომწკვრივებულიყვნენ სხვა-და-სხვა გვარად დამახინჯებული საცოდავი გლახაკნი, დაკონკილის და დაძონძილის ტანისამოსით, რომელთა აღელვებული პირისახე მსუნაგათ გამოიყურებოდა და გაშვერილი მთრთოლარე ხელი მოელოდა ბედნიერების გადანარჩენ ნამცეცებს.

იმათ არც სახლი, არც ნათესაობა, არც რომელიმე სიამოვნება, არ მოელოდათ ამ დღეს; ლუკმა პური, სულის მოსაბრუნებლად, აი მთელი იმათი წადილი, იმათი საგანი! ისინი აქაც-კი ჩხუბობდნენ ერთმანერთში ადგილისთვის, რადგანაც კარებთან ახლო მდგომს ყოველთვის სხვებზედ მეტი შეხვდება.

ბედნიერებს გამოჰქონდათ სხვა-და-სხვა რიგად და სხვა-და-სხვა ფერად

ახლა ცოტა ისტორიაც მოისმინეთ ტფილისის საზაფხულო თეატრის და ამ ისტორიიდამ გაიგებთ—თუ რამდენად უდგება და მხარს იჭერს დირექცია ქართველებისას ანუ სომხებისას.

მოგეხსენებათ, რომ გავლილ ომიანობის დროს საზაფხულო თეატრი ანტრეპრენიორად და სრულ ბატონად იყო ბ. ს. პალმი. ეს იყო ის დრო, როდესაც ბ. პალმის თეატრში მუდამ საღამოს ხალხისაგან ტევა აღარ იყო და ბილეთისათვის თავ-პირის მტვრევა ჰქონდათ. ორი თუ სამი წელიწადი ეჭირა ბ. პალმს ჩვენი თეატრი და ამ ხნის განმავალობაში, პირველად ქართველებსა და სომხებს კვირაში თითო დღეს აძლევდა მოწყალებასაც და ამ მოწყალებისათვის თითო საღამოს ორასს და ხან ორას-ორმოც-და-ათ მანეთს ახდევინებდა. შემდეგ, როცა ომიანობა გათავდა, როცა კარგი ტრუპპა წაუვიდა და ამის გამო საზოგადოებამ ნაკლებად იწყო იმის თეატრში სიარული, ქართველებსა და სომხებს უფრო გაუადვილა თეატრის თხოვება და თითო საღამოში ათ-თხუთმეტ თუმანზე მეტს არ ართმევდა.

და გითხრათ ახლა, როგორ ავიწროებდა კიდევ დირექცია ბ. პალმს?— იმ ორი თუ სამი წლის განმავალობაში, როდესაც ის ანტრეპრიონერად იყო, დირექციის შუამდგომლობით იმან მიიღო ხაზინიდამ ერთხელ სამი ათასი მანეთი, მეორედ თვრამეტი ათასი და მესამედაც ოც-და-ათი ათასი მან., სულ 51,000 მან.! ბ. პალმის მაშინდელი ეკიპაჟები და პატარა ცხენები (პონები) მთელს ტფილისში განთქმული იყო...

ქართველებსა და სომხებს კი, როგორც ყველამ იცის, ხაზინიდამ ფარაც არ მიუღიათ; ამათ თავის საშუალობით, თავის მეცადინეობით შეადგინეს პატარ-პატარა ტრუპპები და დაიწყეს წარმოდგენები.

და ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ დირექცია ქართველ-სომხებს სწყალობს და რუსულ თეატრზედ კი გული აცრუებული აქვსო!

მაგრამ განვაგრძნოთ ჩვენი თეატრის ისტორია. ბ. ს. პალმი შვილი, როგორც მოგეხსენებათ, შარშან ოდესსაში წავიდა, იქ გაკოტრდა და აქ კი თავის მაგივრად დასტოვა თავის მამა—ბ. ა. პალმი. ამან თავიდამვე ისე წაიყვანა რუსული თეატრის საქმე, ისეთი უნიჭო მოთამაშეები მოიყვანა, ისე საძაგლად მიჰყავდა ანგარიში, რომ თითქმის სრულიად აღარავინ დაიარებოდა რუსულ თეატრში.

ამის გამო პალმებს ჩამოართვეს ანტრეპრიონორობა. ახლა გამოგვიჩნდა ვილაც ვლადიკავკასელი ადვოკატი ბ. კუპმანი და ამან იკისრა ჩვენი რუსული სცენის საქმის გასწორება. მაგრამ, საუბედუროთ, არა თუ გაასწორა, რაც ბ. ა. პალმმა დააკლო, ის იმან შეასრულა: ამის ტრუპპა ისეთი არ იყო, რომ იმის წარმოდგენებს საზოგადოება მიეზიდა და რუსული თეატრის საქმე მაგრად დაეყენებინა ფეხზე ტფილისში.

დირექციამ ესეთი პატარა, მაგრამ სამართლიანი საქმე ჩაიდინა: ბ. კუპმანი ვალდებული გახადა, რომ ქართველებსა და სომხებსა კვირაში ერთი დღე დაუთმოს თეატრი და ამისთვის გარდაახდევინოს მხოლოთ ის, რაც თვითონ ერთს საღამოს ხარჯი აქვს.

ახლა, ამ წლის 1 ივლისიდამ, საზაფხულო თეატრის ანტრეპრიონერობა ბ. ი. შითუაშვილმა იკისრა და, მთავრობის წინადადებით, ის ვალდებულია, რომ თვეში სამი დღე ქართველებს ათხოვოს თეატრის ზალა და სამი დღეც სომხებსა და ამისთვის ზალის ფასი არაფერი გადაახდევინოს, გადაახდევინოს მხოლოდ სხვა ხარჯი რაც ექნება ანტრეპრიონერს, მაგ. მუზიკის, განათების, მოსამსახურეებისა და სხვ.

აი სულ ეს გახლავთ დირექციის მიდგომა ადგილობრივ სცენებისა და მტრობა რუსულ თეატრისა!

რაიცი შეეხება სხვა ყბედობას „ნოვოევრემიას“ ტფილისელ კორრესპონდენტისას, მაგ. რომ ქართველებსა და სომხებს ტრუპპა არ უვარგათ, არც ერთი საკუთარი პიესა არა აქვთ, იმათ წარმოდგენებზე მარტო მიკიტნები და მედუქნეები დაიარებიანო და სხვა-და-სხვ.,—ყველა ამაზე ლაპარაკი და ბაასი კორრესპონდეცთან არა ღირს, ამიტომ ერთის მხრით რომ ეტყობა, ის როგორღაც გულ-დამწვარია და ეს ალაპარაკებს, და მეორე მხრით, იმიტომ რომ ის სრულიად ვერ იცნობს ვერც ჩვენ სცენას, ვერც ტრუპპას და არც ჩვენი დრამმატიულ ლიტერატურისა გაეგება-რა,—და ჩვენ მკითხველთან ლაპარაკი იმაზე-თუ რა გვაქვს და რა არა, საჭირო არის, რადგან ეს იმან უჩვენოთაც კარგათ იცის...

## დღიური

ტფილისში შესდგა „მენადირეების საზოგადოება“, რომლის წევრათაც საზოგადოების ხაზინაში თითო თუმანი შეაქვთ წელიწადში და ამ ფულით იჭერენ ყარაულებს და აყენებენ ტფილისის ახლო-მახლო სანადირო ადგილებში იმ განზრახვით, რომ საზოგადოების დანიშნულება ის არის, რომ დაიცვან ტყის ნადირი ნადირთ მოვაჭრეთაგან ტყუილ-უბრალოთ დახოცვისაგან და განსაკუთრებით იმისთანა დროს, როდესაც ნადირობა კანონითაც აღკრძალულია.

* * *

ამას წინათ, ტფ. ქველ-მოქმედ საზოგადოების თავჯ-მჯდომარის კ-ნა გაგარინის თხოვნით, გოდფრუას ცირკში იყო წარმოდგენა სიღნაღის გადამწვართა სასარგებლოდ. ამ წარმოდგენიდამ 426 მან. და 15 კ. შემოსულა, რომელიც კ-ნა გაგარინისას სიღნაღის მაზრის უფროსისათვის გაუგზავნია დანიშნულებისამებრ დარიგებლად.

* * *

ოთხშაბათს, 7 აპრილს, გაიხს ქართული წარმოდგენები სადღ წაულო სპეკტაკლით: წარმოდგენ ნი იქნებიან:

1) მეორე მოქმედება „მზის და ლებისა“, სადაც ტფილისის ხ იყრის თავს ქუჩაზე და ელო დაპნელებას, გამართული იქნება დაობა, სიმღერა და თამაში; 2) მ მოქმედება დრამიდამ „სამშობლ მეტეხის ციხეში ქართველთ ჯ უფროსთ შეთქმულება, ლოცვა ქ თულ დროშის წინ და შახ-აბა შემოსვლა ციხეში; 3) ლეკური, ო მაშებენ ქბ-ნი ანდრონიკოვისა ბ-ნი მოხევე; დასასრულ მესამე მ მედება სუნდუკიანცის ჩინებულ მედიიდამ „ხათაბალა“.

* * *

ტფილისის სათავად-აზნაურო ს ლის გამგეობა გულითადს მადლ უცხადებს მათ ბრწყინვალებას გე რალ-მაიორს ივანე ზივისძეს ამი ხვარს იმ გულ-უხვი ძღვნებისთ რომელნიც ყოველ ბედნიერ დღ და სხვათა შორის ამ აღდგომა მოსდის ხოლმე მათი ბრწყინვალ საგან მოხსენებული სკოლის მოწ ლეთ.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ: სოფლის იანის მღვდლელს მ. იოსებაძეს გ ურთმევია ადგილობრივი მცხოვ სიმონ წილოსანისათვის თუთხ მანეთი ფული ჯვარის დასაწერ და ჯვარი კი არ დაუწერია იმ მ ზით, რომ წილოსანის, რომელიც თონ გურული არის, დრო-გადას ბილეთი ჰქონია. მაგრამ ეს ჯ არაფერი. როცა მუხრანის მღვ დაეწერა თურმე მასთვის ჯვარი შვილი მისცემია, იოსებაძეს შე მონათვლაზედაც უარი უთქვამს. თ ხმეტი მანეთიც შეურჩენია და ქ

---

დაჭრელებული პასკები, შემწვარი და მოხარშული ბატკნები, ჭიაფრად შეღებილი კვერცხები და ეს ყველა ერთად მადის გამხსნელ სურნელებას ატრიალებდა ჰაერში. განუწყვეტლივი მარხულებით დახარბებული თვალები და ხელები იქ მყოფ მთხოარებისა ასობით თრთოლით გაიშვირებოდა ბედნიერებისაკენ და გალეულის დასუსტებულის ხმით წარმოსთქვამდნენ:

— მოწყალება მოიღეთ, ქრისტეს აღდგომის მადლსა! განიკითხეთ უსინათლო ღვთის გულისათვის! განიკითხეთ წვრილ-შვილის პატრონი!

ყველაზედ უკან, კედელთან, მიწოლილიყო ერთი ავადმყოფობისაგან დასუსტებული უსინათლო მოხუცებული, რომელსაც ზეზედ დგომის თავიც აღარა ჰქონდა. იმის გაყვითლებული პირისახე, სიგამხდრე და ჩქარი, მოუსვენარი ქშენა ამტკიცებდა, რომ ეხლაც ძალზედ სიცხე ჰქონდა და მოსვენება ეჭირებოდა.

ღამე იყო ცივი და ქარიანი, ამისთვისაც მოხუცებული ცდილობდა მაგრად მოეჭუჭკა თავის დაფხრეწილი ფარაჯა, რომელიც თავის დანიშნულებას ველარ ასრულებდა და შიშველ ხორცს ხან სად გამოუჩენდა და ხან სად.

რადგან ყველაზედ სუსტი და ულონო იყო, დანარჩენ მათხოვრებს მიეგდოთ უკან. ამისი პატარა ქალი— „ფათი“ შემაწრწუნებელის ხმით ითხოვდა მოწყალებას, მაგრამ ბევრს ვერასა შოულობდა, რადგანაც ამხანაგები წინ არ უშვებდნენ და მუჯლუგუნის ცემით იმასაც უკან აგდებდნენ.

საყდრიდამ ათობით და ოცობით გამოდიოდა ხალხი, რომელსაც ფათი შესწიოდა:

— ქალბატონო! მოწყალება მოიღე, განიკითხე უსინათლო ავადმყოფი მოხუცი! და მიუშვერდა ხელს თავის სულთ-მობძავს მამაზედ. მაგრამ ბედნიერი ხალხი ამის ვედრებას არ აქცევდა ყურადღებას.

გაიარა ხალხმა მხიარულად, ბედნიერად, ერთმანერთის მილოცვით; ყველა გაეშურა თავის სახლში. წავიდ-წამოვიდნენ იქ მყოფი მთხოვრებიც. იქ დარჩა მარტო საცოდავი ფათი და იმისი სულთ-მობძავი მამა, რომელიც ისე დასუსტებულიყო, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა.

ფათიმ გადაათვალიერა თავისი ნაგლახაკევი, რომელიც შეადგენდა რამდენიმე გროშს, კვერცხებს და პასკის პატარა ნაჭერს. შემდეგ წყნარად მივიდა მამასთან.

— მამავ, მამავ! ჩასძახა იმან ავადმყოფს; მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, თუმცა ავადმყოფი სიცხისგან გამშრალს ტუჩებს აძრევდა და ხმის ამოღებას ცდილობდა.

— მამავ! შეშინებულის ხმით კიდევ გაიმეორა ფათიმ და დაიჩოქა იმის გვერდით.

მამამ მოისვა ერთბაშად გულზედ ხელი, წამოიწია და მთრთოლარეს ხმით, გაჭირვებით წარმოსთქვა:

— მიშველეთ! ვკვდები!.. შვილო!.. შვი... შვილო... შვი... ველარ გაათავა სიტყვა დაიხრიალა და მკვდარი დ საყდრის კედელთან...

—

რამდენიმე წელს შემდეგ, Z—ის მაღაზიის ფანჯრებში ჩქარათ გამოჩნდებოდა ერთი მ ლი ქალი, რომლის მშვენიერ ბევრს ყმაწვილს ულვაშების გ და უპატიოსნოს სურვილით გ ატარებდა იმ ქუჩაზედ.

ეს გახლდათ ფათი, რომელიც ლაც მოულოდნელს ბედს ჩაეგდ მაღაზიაში და როგორც ნიჭიერ ხელ-მარჯვე ქალს ჩქარა დაესწავლ კერვა; იმის სილამაზეს და სიფ რომელსაც ისე აფასებენ ამ გვა ვაჭრო სახლებში, ჩქარა დაენიშ ნა მაღაზიის პატრონისთვის ამ ფასი.

ფათის დაუწყეს კარგი ჯ რის ძლევა, კარგათ მოპყრობა, რომ იმის დღეები მიდიოდ არულად და სიამოვნებით. ახ წყდებოდა მხოლოდ ის საღამო, დესაც იმისმა მამამ ისე საც

ტეანობრივი წესის ასრულებაც არ უნდა იმ დილოცვილს. ამის თაოსნობით გლეხ-კაცი ცოლ-შვილით შანაზე ჩამოსულა და ეკზარხოსისთვის არზა მიურთმევია.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

„რამდენად ღირსეულად იქცევიან ზოგიერთი კორრესპონდენტები იმ გაზეთის შესახებ, რომელშიაც კი ადგილი ეძლევა იმათ სტატიებს, აშკარად დაინახავთ „შრომის" მე-12 №-ში დაბეჭდილის „სათეატრო შენიშვნიდამ".

„18-ს ამ თვეს", იწერება ამ გაზეთში ვიღაცა თფილისელი კორრესპონდენტი, „არწრუნის თეატრში იყო გამართული მუზიკალნო — ვოკალნო—ლიტერატურული სალამო, გიმნაზიაში ღარიბ მოსწავლე ქალების სასარგებლოდ"...

„წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ეს სალამო არწრუნის თეატრში-კი არ იყო გამართული საზაფხულო თეატრში იყო.

რასაკვირველია, საქმისთვის სულ ერთია—რომელ თეატრშიაც უნდა იყოს გამართული წარმოდგენა მაგრამ კაცი რომელიცა სწერს „არწრუნის თეატრში იყო გამართულიო", მაშინ როდესაც საზაფხულო თეატრში იყო და ამის შემდეგ უმატებს... „ჩვენ მაინც ჩვენის მხრით რაც შეგვიძლიან ხელს ვუმართავთო", მართლა რომ სასაცილოა.

„კაცი ვინც საზაფხულო თეატრში იყო, არწრუნის თეატრს არ ასწერს ვინც თავის კაბინეთიდგან, მარტო მოგროებულის ხმებით ამზადებს კორრესპონდენციებს დასწერს რეცენზიებს, სამასხარაო არის. მოდით და გაიგეთ რამდენად სამართლიანად უნდა იყოს დაფასებული მოთამაშეთ ნიჭი და თამაში ამ გვარის გამრჩევებისა და რეცენზენტებისაგან"!

* * *

„განმგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" ამით აუწყებს, რომ ექვს იანვარს მოხდენილის „ბალისაგანი, რომელიც გამართულ იყო კრუჟოკის დარბაზში, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ, შემოვიდა:

| | |
|---|---|
| ბილეთის გაყიდვით . | 971 მ. |
| ბუფეტიდამ . . . . | 525 მ. |
| სულ | 1496 მ. |

აქედამ დახარჯულ იქმნა:

| | |
|---|---|
| აფიშების და ბილეთების დაბეჭვდაზედ . . . . | 5 მ. |
| აფიშების გაკვრა . . | 4 მ. |
| „კავკაზის" რედაქციას განცხადების დაბეჭდვისთვის | 6 მ. |
| ბუფეტის მომზადებაზედ | 52 მ. 80 კ. |
| ყვავილების ყიდვა . . . | 10 მ. |
| „კრუჟოკს" . . . | 61 მ. 75 კ. |
| საკრავებზედ . . . . | 70 მ. |
| სულ | 209 მ. 55 კ. |
| ნაღდი შემოსავლად დარჩა | 1286 მ. 45 კ. |

კომიტეტი გულითადს მადლობას უძღვნის მათს ბრწყინვალებას მარიამ ვახტანგის ასულს ორბელიანისას იმ შრომისთვის, რომელიც მან მოხსენებული ბალის გამართვაში მიიღო; ამასთანავე აცხადებს, რომ ამ ანგარიშის გამოცხადების დაგვიანება მოხდა ორიოდ პირთა წყალობით, რომელთაც მიიღეს ბილეთების გაყიდვაში მონაწილეობა, მაგრამ გაყიდული ბილეთების ანგარიში კი დააგვიანეს არა მათზედ დამოკიდებულის მიზეზისა გამო.

* * *

გაზეთს „გოლოსში" იწერებიან, რომ კავკასიის რკინის გზების გამგეობა შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ სამტრედია-ბათუმის რკინის გზის აშენებისათვის შვიდი თვის ვადა მოემატოს, რადგან ამ გზის ხიდებისათვის დანიშნული რკინის მასალები ზღვაში დაეღუპა და ამის გამო ეს მასალები ხელ-ახლად შეუკვეთონ და მოატანინონ ინგლისიდამაო. გაზეთი ამბობს, რომ მთავრობა, უეჭველია, შეიწყნარებს ამ თხოვნას და მაშ, სადამე ბათუმის რკინის გზის გათავება შვიდის თვით დაიგვიანებსო.

* * *

ბაქოს გაზეთში იწერებიან, იქაურს ტეხნიკურ საზოგადოებაში სჯა ჰქონიათ ბათუმის სამხედრო გუბერნატორის ღენ. სმეკალოვის წინადადებაზედ, რომ რადგან ნავთის გასაკეთებელ ქარხნების ასაშენებელ ადგილებს არჩევენ ამ ჟამად ბათუმშიო, აარჩიეთ რამდენიმე კაცი და გამოგზავნეთ ამ საგანზედ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათაო. ტეხნიკურ საზოგადოებას გარდაუწყვეტია აარჩიონ თავის მხრით დანდობილი პირნი და ბათუმში გაგზავნონ.

* * *

ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, რომ მთავრობამ არ დააკმაყოფილა გაზეთის „ობზორის" რედაქტორის ბ. ნიკოლაძის თხოვნა, რომ ნება-რთვა მიეცათ ამ გაზეთის გამოცემისა პეტერბურღში.

—

ბ-ნო რედაქტორო ამას წინათა გთხოვეთ გამოცხადება თქვენს გაზეთში რომ მე არა ვარ „ფანქრათ", რადგან ახლა კიდევ სხვა-და-სხვა ავტორების ნაწერებს მე მაბრალებენ ზოგჯერ ისეთებს, რომელთაც ბევრში არ თანაუგრძნობ, ამის გამო მე გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ იმ სტატიებს, რომელთაც არ ეწერებათ ჩემი სახელი და გვარი ან ჩემი სახელი და გვარის სათაური ასოები, არ მეკუთვნიან მე.

ანტონ ფურცელაძე.

## პასუხი ბ. „ღომო სუმის" პასუხისა შესახებ თიონეთის გზის მუშაობისა.

წარსულის წლის „დროების" მე-256 №-ში იყო დაბეჭდილი ჩემი წერილი, რომლითაც ყოვლად გაწბილდა ის ცრუ ლაღადები ბ. „ღომო სუმისა", რომელიც იყო დაბეჭდილი „დროებისავე" მე-190 და 230 №№-ში, თიონეთის გზის მუშაობის შესახებ დუშეთის მაზრაში. ჩემს წერილში ცხადათ იყო ნაჩვენები: ვინ იყვნენ, ჩემს მისვლამდე ხალხის ზედამხედველათ ან ვისთან წარსდგა ჩემ მიერ მოხდენილი კონდუქტორზე გამოძიება.

მაგრამ ბ. „ღომო სუმ", როგორათაცა სჩანს იმის წერილიდგან მე-269 №-ში იმავე გაზეთისა, განმეორებით ჰკითხულობს იმავე ცნობათა მხოლოდ დასაკმაყოფილებლად თავის ცნობისმოყვარეობისა; ნათქვამია: ყრუსათვის მეორედ არა სწირავენო. ცნობის მოყვარეს შეუძლიან განმეორებით გადაიკითხოს „დროების" 259 №-ში და მითი დააკმაყოფილოს თავისი ცნობის მოყვარეობა; რადგანაც ბ. „ღომო სუმისათვის" სულ ერთია თუნდა ათჯერაც განუმეოროთ, მაინც წაღმა ნაწერს უკუღმა მოიყვანს თავის წერილში, როგორც ამბობს: კვალიევი სწერსო: ჩემს ცოლს უნდოდა ჭავთაროვის სახლების დაგირავებაო და სხვა... ვისაც ჩემი წერილი წაუკითხავს, ყველა დამეთანხმება, რომ ეს სიცრუე არის და არც ერთი სიტყვა ჩემს წერილისა არ არის! თითონვე ამბობს: რომ ჩემს უპასუხობას თანხმობა და დამარცხება არ მიაწერონო, ამისათვის ვსწერ ამ შენიშვნასაო!

აქ მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ ბ. „ღომო სუმს" იმ ერთი სულიერისავით, რომელსაც ღრძილები რომ დაეტენება, გამოვა ეძებს შემთხვევასა, რომ შხამი გახეთქოს ვიზედმე,—სნეულებათა სჭირებია ენის ქავილი; ასეა თუ ისე, უნდა კი სთქვას რამე და მოიკლას ენის ქავილი, არ დასდევს იმას თუ როგორი გაცრუებული და გაწბილებული არის თავის ცრუ მწერლობით.

ამასთან საუცხოო ლოღიკა გამო-

---

და საბრალოდ, უპატრონოდ და უნუგეშოდ დალია სული და ეს წუთები იყო იმისთვის სამწუხარო, სატანჯველი.

ამ გვარ ფიქრებით დადარდიანებული ფათი ყოველთვის დაეთხოვებოდა თავის უფროსს, და განსაკუთრებით იმისათვის გავიდოდა ქუჩაში, რომ რამდენიმე აბაზი დაერიგებინა მთხოვრებისთვის, თავის მამის მოსახსენებლად.

ერთხელ ტფილისის ერთს კლუბში მასკარადი იყო და ამ მასკარადზედ წავიდნენ მაღაზიაში მყოფი ქალები, რომელთაც ფათიც თან წაიყვანეს.

ფათის თავის დღეში არ ენახა ამ გვარი დროს-გატარება, და ამისთვის გაშტერებულსავით დადიოდა და გატაცებით შინჯამდა ყოველის ფერს. ამ დროს მოვიდა ერთი იმისი ამხანაგი ქალი, რომელსაც სუზანას ეძახდნენ, და უთხრა:

— ერთს ყმაწვილს უნდა შენი გაცნობა.

— ვინ ყმაწვილია? ჰკითხა ფათიმ.

სუზანამ დაანახვა შუა ტანის კაცი, მშვენიერის შეხედულებით და ნაზის სახით.

— აი ეს არის.

ფათიმ შეხედა და თუმცა უარი სთქვა გაცნობაზედ, მაგრამ მასკის ქვეშ სახე თითქოს აენთო და გულმა როგორღაც თრთოლით ძგერა დაუწყო.

სუზანა გადაეკიდა იქამდინ, რომ ფათი დაეთანხმა.

— აი ეს გახლავსთ თავადი მიხეილ. წარუდგინა სუზანამ თავის მეგობარს.—ესეც ჩემი მეგობარი მადემუაზელ ფათი.

ახალ გაცნობილებმა თავი დაუკრეს ერთმანერთს და პირველი სიჩუმის შემდეგ, თავადმა ძლივს მოახერხა, რამდენიმე სიტყვა და სატანცოდ გაიწვია.

სალამოს შემდეგ ფათის ჩაებეჭდა გულში თავადი მიხეილის სახე, რომელმაც დაუწყო არშიყობა ქალს.

— თქვენ არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ,—რა ბედნიერ დღეთ ჩაითვლება დღევანდელი სალამო ჩემთვის, ჩასჩურჩულებდა ფათის გამოთხოვების დროს მიხეილი—თქვენ არ იცით რა რიგათა ვნატრობდი თქვენთან გაცნობას.

ფათიც გატაცებული თავის გრძნობით, დარწმუნებული სხვის გრძნობის სიწმინდეში ნება-უნებურად, ხმა გაკმენდილი ყურს უგდებდა იმის საუბარს.

ფათი იმ წუთებში ისე ბედნიერი იყო, რომ ეს ლაპარაკი, (და ზოგმაკი იცის ისე ტკბილი ლაპარაკი) გათენებამდინ რომ გაგძელებულიყო, არ მოსწყინდებოდა.

ამ სალამომ ფათისთვის პირველად გაიარა ასე სასიამოვნოდ ასე ტკბილად; ის პირველათა ჰგრძნობდა რაღაც გამოუთქმელ გრძნობებს და ეს გრძნობა ისე სასიამოვნოთ უალერსებდა იმის ობლობისგან პატარაობიდგანვე დაჩაგრულს გულს.

ფათი არ ეკითხებოდა თავის თავს—თუ რა გამოვიდოდა აქედგან, ან რა მოელოდა იმას?

ან რა უნდა ეფიქრა? ის ბედნიერი იყო და უანგარიშოდ, პატიოსნად, როგორც ყოველთვის ყველა გამოუცდელი ქალი, სრულიად ეძლეოდა ამ სიამოვნებას.

— ის თავადია, მე კი უბრალო მთხოვარას ქალი. ჰფიქრობდა ფათი,—თავის დღეში ის მე არ შემირთავს, მაგრამ ხომ უყვარვარ, მოვწონვარ, ჩემთვის ესეცა კმარა...

იტყოდა, გაიფიქრებდა ამას და ამ მოაზრებით დაკმაყოფილებული ისევ თავის სანატრელს საგანზედ გადადიოდა.—იმას უყვარვარ, იმას მოვწონვარ! და თვალ-წინ წამოუდგებოდა მიხეილის ანგელოზის მზგავსი სახე, იმის აღტაცებული ტიტინი და სულის საძირკვლამდინ დამწველი ხმა...

ხ. მოხსუბარიძე.

(დასასრული ხვალ)

უგონია ბ. ლომო სუმს, რომლის კანონით შეუძლებელად ხდის: წესიერებით უწესოების განდევნასა და უბიწოებით ბიწიერების განქარვებასა; ერთის სიტყვით იმის ლოღიკის კანონი ამბობს: ბნელს ოთახში რამდენიც გნებამთ სანთელი დაანთეთ, არ გაანათებსო. შკაცრავად, ჩვენი ლოღიკა სულ სხვას ამბობს; ბიწიერება უბიწოებით განიდევნება, ბნელი სინათლით გაინათლება.

ბ-ნი ლომო სუმ სწერს: „ქველა კარგი და კეთილიო, მარამ ქვალიევმა რად ურჩია საზოგადოებას, რომ თავისი სამუშაო მიეცათ ქავთაროვისა და მირაქოვისათვისო, როდესაც კროებს აძლევდენო და წერილი რათ არის ჩინოვნიკისაგან დაწერილიო? ამის პასუხად აი რას მოგახსენებთ: რომ მე რომელისამე საზოგადოებისათვის მერჩიოს ქავთაროვსა და მირაქოვს მიეცით თქვენი სამუშაოო, ეს ნამდვილი სიცრუე არის. ამას დავუმტკიცებ შემდეგის გარემოებიდგან: იმ მუშაობაში კროებთაგან ფოდრიადჩიკი არავინ ყოფილა იქ იყვნენ მუშე კროები ქავთაროვისა და მირაქოვის დაჭერილნი თვეობით, რომელთაც არავის მუშაობის აღება არ შეეძლოთ; შემდეგ ამ კროებსა და იმათ ფოდრიადჩიკებს შორის ისეთი დავა ასტყდა ფულის მიუცემლობის გამო დუშეთის მოსამართლესთან, რომ ის კროები ისევე დუშეთში იყვნენ, როდესაც გზის მუშა დაიშალა! და თუ ვინმემ მომჩივანმა სიცრუით სთქვა მოსამართლესთან რა იცის ბ-ნმა ლომო სუმმა, თუ როგორ ისარგებლა ამ სიცრუით წინაშე მოსამართლისა ანუ რა ასიამოვნა უკანასკნელსა? ფოდრაჩიკმა მირაქოვმაც ისარგებლა წინაშე მოსამართლისა ამ გვარივე სიცრუით: ქვალიევმა მიბრძანაო, კროერისელების გზას ნუ იმუშავებო. მომჩივნები მოახსენებდენ: ბატონო, სტყუის ეგა, ქვალიევი ძალას ატანდა, გზას მალე მორჩიო, მაგრამ როდესაც მოსამართლემ მე მკითხა, მირაქოვი გამტყუნდა და გარდახდა რასაც საზოგადოება ედავებოდა. ამ გვარი სიცრუე ითქმის, მაგრამ სიმართლის ადგილს ვერ დაიჭერს.

რაც შეეხება იმას, რომ ჩინოვნიკს ვისმეს პირობის წერილი დაუწერია—არ ვიცი და თუ დაუწერია, ძალიან კარგი უქნია, უფრო აზრიანათ იქნება დაწერილი და ამითი დაუკმაყოფილებია ბ-ნს ლომო სუმს სიცრუითი ლაპარაკი ლაპარაკება. ვის არ ახსოვს მე-190 №-ში რაგვარად აყვედრიდა ჩინოვნიკებს, რატომ თვითონ არ უწერენ პირობებსაო! ახლა ჰკიცხავს იმ ჩინოვნიკს პირობის დაწერისათვის!

ბ-ნი ლომო სუმ ამბობს: ქვალიევი შემცდარი არისო, რომ მე დუშეთის მაზრისა ვგონივარო! აი კიდევ სიცრუე: მე ჩემს წერილში ვსთქვი, რომ ლომო სუმ უფრო ძველი მეზობელია ფოდრიადჩიკებისა; იმას როგორ ვიტყოდი, რომ ლომო სუმ დუშეთის მაზრის იყოს მაშინ, როდესაც თვითონაც არ იცის რომელი მაზრისა არის! იმას კი დავუმტკიცებ, რომ ძველი მეზობელი ფოდრაჩიკებისა.

დიმ. ქვალიევი

24 მარტს.

---

# განცხადებანი

სახაფხულო თეატრში

ოთხშაბათს, 7 აპრილს

ქართული წარმოდგენების ხელახლავ დაწყებისათვის ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**I**

მეორე მოქმედება კომედიიდამ

**მ ზ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა**

თხზ. ანტონოვისა.

**II**

მესამე მოქმედება დრამიდამ

**სამშობლო**

მეტეხის ციხე

თ. დ. ერისთვისა.

**III**

**ლ ე კ უ რ ი**

ითამაშებენ ქ. ანდრონიკოვისა და ბ. მოხევე.

**IV**

მესამე მოქმედება კომედიიდამ

**ხ ა თ ა ბ ა ლ ა**

გ. სუნდუკიანცისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

---

**„განმგებელი კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათ, 28 აპრილს, დილის 10 საათზედ იქმნება მოხსენებულ საზოგადოების წევრთა **საზოგადო წლიური კრება** ტფ. სააზნაურო სკოლის სადგომში, სოლოლაკის ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, ბაისალოლოვის № 19-იან სახლში.

**განსახილველი საგნები:**

ა.) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

ბ.) განხილვა და დამტკიცება მომავალი წლის სავარაუდო ანგარიშისა.

გ.) წევრთა ამორჩევა „საზოგადოების“ განმგებელი კომიტეტისა.

(6—1)

---

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—5)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

**იურიდიული კაბინეტი**

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—9)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

**ი გ ა ვ - ა რ ა კ ნ ი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გადმოქართულებული თ. რ. ერისთვისა.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფ ა ს ი ე რ თ ი ა ბ ა ზ ი.

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურებს ... ... ... რზბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანის სიგარები. (100—96)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველ მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პარფიუმერია ... კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პალნოსები 5 კ.—დამ; მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—77)

---

**ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ფადეიჩი კობიევი** აუწყებს საყოველთაოთ საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესი მთავრობისა, დიდი ხანია რაც მივიღე ტფილისის ოკრუჟნის სუდიდამ მოწმობა პოვერნიობისა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოება სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა-და-სხვა საქმეები საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გამიჯვნის დროს მამულებისა. ამისთანავე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში ტფილისის ოკრუჟნის სუდში.

ბინა მექნება ქ. დუშეთში მ... არაქელოვის სახლში.

პოვერნია ტიტულიარნი სოვეტნიკი

(3—2) ეფრემ კობიევი.

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან ქაღალდით. (100—95)

---

**თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,** წესდების § 82 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთ ჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის რომელიც იქნება აპრილის 29-ს 1882 წელს დილის 10 საათზე ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1). განხილვა გასულ 1881 წლის ბანკის შემოსავალ-გასავლის.

2). განსაზღვრა-თუ საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნული ფული ბანკის შემოსავლიდამ, რადა რა საგნებზე უნდა იქმნეს მოხმარებული.

3). განხილვა და დამტკიცება 1882 წელს ბანკის გამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვის.

4). მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ბანკს აღმოუჩინოს გლეხებსა ადგილ-მამულის საკუთრებად შეძენაში.

5). ამორჩევა ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა ახლანდელის თავმჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად. რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ.

6). ამორჩევა ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კამისიის წევრთა და ამ უკანასკნელთ კანდიტატებისა. (9—3)